



მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ბრძანება“ ღირს

თვეში 1,250,000 ზან.

ცალკე ნომერი ყველგან 50,000 ზან.

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალის ქუჩა, № 6

ტელეფონი 10-84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:

1 გვ. 250,000 ზან.

4 „ 200,000 „

სამაგისტრო განცხადება

1 გვ. 2,500,000 ზან.

4 „ 2,000,000 „

№ 517 სამხალისი, ოქტომბერი 10 1923 წ.

საქართველოს სახალისი

ფასი 50,000

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

მენშევიკური პარტიის აღსასრული ახლოვდება. საქართველოს ყველა კომუნისტური და გლეხური თავის ხმას ამცნობენ ქვეყანას მენშევიკური პარტიიდან გასვლის შესახებ.

აღვლი აქვს კოლექტიური დეკლარაციებს, კონფერენციებს და სხ. და სხ.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ დამატებითი მიზეზები აქვს. ნეტად ზერელე, დილტანტური და ფუტსავატი აზრი იქნებოდა იმ დებულების მიღება, რომელიც გვეტყობა, რომ მხოლოდ პოლიტიკურ ძალდატანებას შეეძლო ასეთი ღრმა გარდატეხა და პოლიტიკური პარტიიდან მასიური ემიგრაცია.

ჩვენ არა ერთი პარტიის ისტორიის ვიცნობთ, რომელმაც განიცადა დევნა და შევიწროება, მაგრამ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას წილადა არ შეხვედრია ასეთი ბედი. როგორც დღეს აქვს მისჯილი მენშევიკურ პარტიას.

ძალდატანებაში შეიძლება დაშალოს ორგანიზაციული კავშირი, პარტიის დაუკარგოს მასებთან კავშირის გაბმის შესაძლებლობა, მოახდინოს მისი გადასვლა პერ-პერ და გამოიწვიოს პარტიული რიგების შესუსტება, მაგრამ ძალდატანებას არ შეუძლია პარტიის რიგებიდან საუკეთესო ელემენტების გასვლა, მათი მიყვანა პარტიის პოლიტიკის უარყოფამდე.

მენშევიკების „ხელმძღვანელი“ ცდილობენ ეს მოვლენა სიმარტივით ახსნან. მათ ავიწყლებათ ერთი მხარე ანბანური ქეშმარიტება, რომ პოლიტიკური პარტიის ზრდა-განვითარება თუ გადაგვარება დამოკიდებულია სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების საფუძვლებთან და არა მხოლოდ ძალდატანების მომენტთან. მეორე მხრივ მათ ისიც ავიწყლებათ, რომ მართალია რომ იყოს მათ მიერ წამოყენებული დებულება, ეს კიდევ უარესია მათთვის, რადგან აქედან ლოგიკური აუცილებლობით გამოიშინარება მენშევიკური რიგების პოლიტიკური აღზრდილობა, მათი უმწიფრობა და არა რევოლუციონერული ბუნება.

რა თქმა უნდა ამ საკითხზედ შეჩერება არცა ღირს. მთავარი მიზეზი მენშევიკური პარტიის დაშლისათვის მენშევიკების პოლიტიკურ არსებაშია. მენშევიკურმა პარტიამ ვერ გაამართლა მუშებისა

და გლეხების იმედები. „ერთად ერთ მუშათა პარტია“ დაუკავშირდა შიგნით უკიდურეს რეაქციონარებს, ძველ თავად-აზნაურულ ნაშთებს და მეფის ოფიცრებს-გენერლებს, ხოლო გარეთ მსოფლიოს იმპერიალისტურ აპოლოგეტებს. ბუნებრივია, რომ იმ პარტიაში, რომელიც ერთი ხელით ჩოლოყაშვილებს ამავრებს და მეორეთი პუანკარეს ჩასჭიდებია მოხდებოდა განხეთქილება და მუშური ელემენტები თავს გაანებებდნენ მას.

ეს მოვლენა მით უფრო უნდა გაღრმავებულიყო, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლება მუშათა კლასობრივ ნიადაგზე სდგას და არსებულ პირობებში მაქსიმალურად ქმნის მუშათა არსებობის პირობების გაუმჯობესებას.

მენშევიკებმა საქართველოში თავისი მოღვაწეობა საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის უარყოფით დაიწყეს. რუსეთის რევოლუციის პროცესში ისინი იღებდნენ მხოლოდ იმ გეოგრაფიულ ერთეულს და ცნობდნენ მას; სადაც მათი სამშლობლო იყო.

ჩვენ მუდამ ვამტკიცებდით, რომ მენშევიკურ პარტიასა და ქართველ მუშათა და გლეხთა მასებს შორის ობიექტურად არ შეიძლებოდა ყოფილიყო ინტერესთა ჰარმონია. მიუხედავად ამ დებულების სისწორისა, თუ მენშევიკურმა პარტიამ მაინც გაიყვანა მუშათა კონტინენტის დიდი ნაწილი წასულში, ეს აიხსნება იმ სოციალ-პოლიტიკური პირობებით, რომელიც საშუალებას აძლევდა მენშევიკებს გაზრდისას, რის შესახებ აქ არ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

დღეს ყველაზედ მეტად გამოაშკარავდა ინტერესთა წინააღმდეგობა მენშევიკურ პარტიის ხელმძღვანელმა და მათ მიმდევარ მუშათა შორის.

დაწყებული რევოლუციის დღიდან დასრულებამდე უფრო უნდა იქნეს, ვიდრე დღევანდელი მომენტის შეფასება. საქართველოს მუშები და გლეხები საქართველოს ეროვნულ თავისუფლებისა და სოციალისტური მშენებლობის გზას ვერ ჩამოშორდებიან. მათთვის, ვინც განიცდიდა მენშევიკურ დიქტატორიას, დღეს არის შესაძლებლობა გენერალური რევიზიისა. დღეს არსებითად უნდა მოახდინონ წასულის გადაფასება და მომავლის მიზნების დასახვა.

ბის წევრები იმუქრობდნენ-ყველა პარტიიდან გამოვალთ.

რეგულიარული ჯარი ექვს ქვეშ ჰყავდათ დაყენებული და ალბათ ამიტომაც იყო რომ მის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მაინცა და მაინც თავს არ იწუხებდნენ. სამაგიეროდ მენშევიკების ხაზინა ხელერთპირად გვარდიელების დაკმაყოფილებას უნდებოდა. შედარებისათვის კმარა შემდეგი ცნობების მოყვანა.

ა) უბრალო გვარდიელი ლეზულობდა ორჯერ მეტ ჯამაგირს, ვიდრე ჯარში მოსამსახურე უმცროსი ოფიცარი.

ბ) ჯარისკაცის ჯამაგირი შეადგენდა გვარდიელის ჯამაგირის ერთ მეოცედ ნაწილს.

გ) მოზილიზაციით მოწვეულ გვარდიელს ეძლეოდა თუთხამეტჯერ მეტი ჯამაგირი, ვიდრე ჯარში მოსამსახურე პოლკოვნიკს.

ამას დაჟინებით ის უკეთესი ტანი და ფეხი, უკეთესი კვება, რომელიც უფროსს აქვს კი მოლანდებია და ადვილად მიხვდებით, რატომ იყო მუდამ მტრული განწყობილება ჯარისა და გვარდიის შორის.

ამასთან ერთად მენშევიკებმა ვერ მოიშორეს თავიდან ძველი დახმაცხელობა წესები.

როგორც ჯარის, ისე გვარდიის, უმეტეს ნაწილათ ის ძველი ღენერლები უძლიერეს წინ, რომელთაც არავითარი ნიჭი და უნარი ამ საქმისა არ ჰქონდათ სასურსათო ღირებულების გამოვლათ და ისიც ფრონტის მოშორებით, ისინი იქნებ კიდევ ვარგებელიყვნენ, მაგრამ ჯარის წინამძღოლებათ სრულებით არ ვარგოდნენ.

უნდა ისიც ითქვას, რომ მაღალი ადგილების დარჩენის დროს დიდი გავლენა ჰქონდა ნათესაობას, ქალების პროტექციას, ნათელ-მირონობას და სხვ.

ასეთი იყო მენშევიკების შეიარაღებული ძალები.

რა თქმა უნდა, ძნელი არ იყო მისი მიხედვრა, თუ ვის წინააღმდეგ უნდა ეხმარათ ასეთ წესზე მოწყობილი ჯარი—ეს იყო ის „შინაგანი მტერი“, ესე იგი, საქართველოს რევოლუციონერული მუშები და გლეხები.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა, რომ მენშევიკებს ცოტა მაინც მეტი ყურადღება არ მიექციათ ჯარისათვის, როცა გვარდიის თან ჰყვებოდნენ.

მართლაც, რომ ისახელა გვარდიამ თავი და გაამართლა მენშევიკური მთავრობის იმედები იმ მრავალ აჯანყებათა დაწყებაში, რომელიც წამდა უწყვეტ ხან ერთ, ხან მეორე ადგილზე იფეთქებდა ხოლმე.

მაგრამ საქმარისი იყო, რომ გვარდიის შორისა ხალხს გაჰყარებოდა რეგულიარული წითელი ჯარი, რომ ეს სახელგანთი გვარდიელების ლაშკარი ერთ-ბაშა დაიწყო, დაიქსაქსა.

როცა მენშევიკებისათვის აშკარა შეიქნა, რომ საზღვარ-გარეთიდან ანტანტა მას მაშველ ჯარს არ უზნავნიდა, მათ ელვის სისწრაფით მოუსვენს ბათონისაკენ და თან გაიყოლიეს სახალხო ქონება, რასაც კი მოერივნ წასაღებათ, ბათონში ისინი ჩახსდნენ გემებში და სტამბოლისაკენ გაემგზავრნენ. იქიდან კი მთელ „განათლებულ ევროპას“ მიედევნ და ყველას ყურებით გამომუქედეს ბოლშევიკების „მტარავლობის შესახებ. თავის სამარცხვინო დამარცხებას კი ხელერთპირად ჩვენ ქართველ ოფიცრობას გვაბრალდნენ, ჩვენ გვამტყუნებდნენ, ჩვენვე გვწყალებდნენ მუხანათობასა და ლალატს.

ერთი წყება ოფიცრობა გაჰყვა მენშევიკებს საზღვარ გარეთ, მათ შორის უმთავრესათ იყვნენ ოფიცრები.

საზღვარ-გარეთ ეს ხალხი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. მათ სულს გარეშე არაფერი გააჩნდათ. მენშევიკების მთავრობამ კი მათ ცივი უარი უთხრა რაიმე დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამით ისინი ვითომც ჯავრის იყრიდნენ ოფიცრობაზე, რომელსაც თავის დამარცხების მიზეზათ სთვლიდნენ.

ახალი ამბები

— „ჩვენი მეცნიერება“. № 2—3. დაიბეჭდა და ამ ორ დღეში გამოვა გასასყიდათ სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება“ № 2—3. კრებულში მოთავსებულია შემდეგი წერილები: პრ. შალვა ნუკლები—მეცნიერება, როგორც ევროპიული აზროვნების კრიზისის მაჩვენებელი. კ. ბაქრაძე—აღვითოლოგიური რეალიზმი. პრ. დ. უზნაძე—სახელმწიფო პოლიტოლოგიური საფუძვლები. პრ. გ. ახვლედიანი—„სა—“ და—„ურის“ მნიშვნელობა, პროტესტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში. დოცენტი გ. ნა-

მენშევიკები და მათი მახლობელი ხალხი საზღვარ-გარეთ, სტამბოლში მაგალითად, რამოდენიმე ასს ღირას ლეზულობდა თვეში და დღე და ღამე რესტორანებიდან არ გამოსდებოდა.

ეს ამბავი დღეს ყველამ იცის უკან დაბრუნებული ოფიცრებიდან.

მე მეგონა, რომ ყოველივე ეს საქმარისი იყო იმისთვის, რომ ქართველ ოფიცრობას გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ყოველ მენშევიკურ მთავრობასთან და იმ მენშევიკებთან, რომლებიც ჩვენში დარჩნენ, და თავის საზღვარ-გარეთ გადახვეწილ მეგობრების რჩევა-დარიგების თანახმად, თავს უყრიდნენ ყაჩაღებს, ახდენდნენ შეთქმულებებს საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებათ.

სამწუხაროთ, როგორც სინამდვილემ დაამტკიცა, ზოგიერთი ქართველი ოფიცრები ჯერაც ვერ გარკვეულა ამ საქმეში.

ეს შემდეგი გარემოების ბრალი უნდა იყოს: საქართველოდან გაქცივის შემდეგ მენშევიკებმა შესცვალეს თავიანთი დამოკიდებულება ქართველ ოფიცრებთან.

ვინაიდან აშკარათ შეატყვეს, რომ საქართველოში მათ ერთგვარ გამოცეცალათ ფეხთაგან ყოველგვარი ნიადაგი.

ზოგს ეროვნული გრძნობის გაღიზიანებით მოუწოდებდნენ მოტყუება, ზოგს უტიფრათ ფულიც კი შეაძლიეს. ათასგვარი ხრიკებით იმით ჩაიტყუეს თავიანთი ფარულ ორგანიზაციებში რამოდენიმე სამსახურის გარეშე მყოფი ოფიცრები და მათთან ერთად რამოდენიმე საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში მყოფი წითელი ჯარის ოფიცრებს, რომლებსაც ფიცი ჰქონდათ მიღებული საბჭოთა ხელისუფლების ერთგული სამსახურისათვის, აი ამან გამოიწვია რამოდენიმე ჩვენი ამხანაგის დახვეწა.

ნანობენ თუ არა მენშევიკები თავის მუხანათურ საქციელის თაობაზე მე მეგონა, რომ არა. პირაქით, ყოველივე ეს მათთვის ხელსაყრელია, როგორც ყოველივე ის, რაც კეთდება მათი ხელის, როგორც აქ, ისე საზღვარ-გარეთ სწორეთ ასეთი ამბები მათთვის საჭირო, რომ ვინმე კიდევ დაუგლოს ყური მათ ლათიანებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს აწიოებისა, აკლების შესახებ.

ამგვარივე მუხანათური იყო იმ პარტიების როლი, რომლებიც მუშაობდნენ და განაგრძობდნენ მენშევიკებთან მუშაობას. მათ შეუბრალებლათ გასწირეს ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი.

აი ამიტომ შეიცვალა მენშევიკების დამოკიდებულება ქართველ ოფიცრებისადმი.

ვინც მე მიცნობს, ვინც იცის ჩემი მშვიდობიანი დროს და ომის დროინდელი მუშაობა, დარწმუნებული ვარ, ვერ იტყვის, რომ შესაძლებელი იყოს ჩემი ციხით და თუნდა დახვეწილად დაშინება, და იმისთანა რაიმე მათქმევინოს, რისი პირში თქმაც სათაკილო იქნებოდა ყოველი ქართველი სათვის.

ეს მაძლიეს მე უფლებას მიეცე ჩემ ამხანაგებს წინადადება, რომ ვისაც უყვარს თავისი ერი და სამშობლო, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოშორდნენ ყველა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომქმედ პარტიებს, რომლების მუშაობა საქართველოს სრულ გაღატაკებისა და განადგურების მეტს არაფერს სასიკეთოს არ უქადის.

დროა, ბოლოს ქართველმა ოფიცრობამ და ინტელიგენციამ გაიგოს და იწამოს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, მხოლოდ ამ ხელისუფლებასთან მუშაობით შეიძლება ჩვენი ყველა თავისი ძვირფასი მამულისა და ეროვნების შენახვა და აყვავება.

მე კი ჩემის მხრივ ყველას გასაგონათ ვაცხადებ, რომ მთელ ჩემ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმარ შეგნებულათ და პატიოსნათ წითელი ჯარის ძალის გამაგრებას.

გიორგი თუხარელი.

ფიცრის აღსკვნა

ბევრჯერ მოვინდომე მე ამ წერილის დაწერა, მაგრამ ყოველთვის ერთი გარემოება მაბრკოლებდა.

მე არ ვიცავი იმაში დარწმუნებული, რომ საბჭოთა მთავრობა ნდომის თვლით შეხედავდა ჩემ გულწრფელ სურვილს, შეძლებისდაგვარი დახმარება გამეწვია წითელი ჯარის შექმნასა და გამაგრებაში.

მე მქონდა იმის საბუთი, რომ ასე მეფიქრა, ვინაიდან თავის დროზე მე მენშევიკების ჯარის ოფიცრათ გმსახურებდი და რამოდენჯერმე მიმიღია მონაწილეობა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორეთ ამ გარემოებამ შემაჩერა მე და შემიშალა ხელი ანერგულებია ჩემი დიდი ხნის გულწრფელი სურვილი.

ვიცი ისიც, რომ ეს წერილი ბევრს აამოქმედებს ჩემს წინააღმდეგ, ვიცი რომ ყველა ისინი, ვინც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გულისათვის მუდამ სცდილობდა წაქეზებას და აყვარებას ქართველი მუშა და გლეხი და მეტადვე ქართველი ინტელიგენცია, რაიმე წინადადებები ნაბიჯის გადადგმისაკენ, ყველა ესენი, რა თქმა უნდა, არ დამაკლებენ მე არც ცილის წამებას, არც ყოველგვარი ტყუილებით ჩემი სახელისათვის ჩირქის მოცხებას.

ვიცი ყოველივე ეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მოვალეობით ჩემ თავს აშკარათ და გადაწყვიტეთ გამოვსთქვა ჩემი აზრი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომქმედ პარტიების თაობაზე, შევხსოვ მათ წარსულსა და ეტლანდელ მუშაობას და მით ერთხელ და სამუდამოდ (მე გველისხმობ ჩვენი ქართველი ოფიცრების საუკეთესო—ღირსეულსა და პატიოსან—ნაწილს) ყოველ გვარ ავანტიურისტებსა და მათ მუშაობას.

მე ვეცდები მოკლეთ დახატო იმის სურათი.

1) თუ როგორი იყო მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ჩვენთან, ესე იგი ქართველ ოფიცრებთან და

2) აგრეთვე იმასაც, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ მენშევიკების საქართველოდან წასვლის შემდეგ მათი დამოკიდებულება ჩვენდამი საგრძნობლათ შეიცვალა.

მენშევიკების ბატონობის ხანა ეს განუწყვეტელი და დაუსრულებელი ომებისდრო იყო.

აგება ან მოხსნა: ჩვენი მიზანია თვალი გადავა-
ლოთ ახლანდელ მდგომარეობას და ამ გამოცემა-
ლობის შესაძლებლობას.

მუსიკალური საქმიანობის პრაქტიკით საქარ-
თველოში არსებობს სახელმწიფო ორი კონსერვა-
ტორია, მუსიკალური სასწავლებლები—ტენიკუმე-
ბი. არის მეცადინეობა, სახელმძღვანელოები ზოგან
წიგნოსაცავები.

მაგრამ ყოველივე ეს იმდენს ეუბნება ქართ-
ველ ახალგაზრდის სულსა და ბუნებას, როგორც
არსებული კონსერვატორიები ქართულ მუსიკას.

ყოველი მუსიკოსის სურვილია მუსიკა გასა-
გები გახადოს, შეაყვაროს ფართო მასას, სოფლის
მცხოვრებთ, სურს მისი პოპულარიზაცია, მაგრამ
საუბედროოდ, ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი
ხდება: სათანადო მასალა მოიპოვება უკვე შედა-
რებით მომზადებული სათვის და არა დამწყების-
თვის.

დიდი ენერგიისა და სიყვარულის მქონე უნდა
იქნეს ადამიანი, რომ მან საქმით მასალა იპოვოს
ქართული მუსიკის შესახებ.

კონსერვატორიებში არსებობს, უკეთ რომ
ვსთქვათ, სულს ღაფავს თეორიების ქართული
კლასი (არ გეგონათ იქ ქართულ მუსიკაზე იყოს
ლაპარაკი შედარებით: ქართულ ენაზე მეცადინეო-
ბენ), მაგრამ მოწოდებს საძნელო უხდება მეცადინე-
ობა სახელმძღვანელოს უქონლობის გამო. არ არის
დაბეჭდილი ქართულ ენაზე თუ გინდ თეორიული
საგნები, მიუხედავად, იმისა, რომ ასეთები აუცი-
ლებლად არიან, მუსიკალურ დაწესებულებათა
მსმენელთათვის.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ
მუსიკოსთ მზად აქვთ დასაბეჭდად მასალები, რო-
გორც სახელმძღვანელო, ისე ქართული მუსიკის ის-
ტორიის, სასულიერო, საერო და - მუსიკის სხვა
დარგთა შესახებ, მაგრამ მასალები განისვენებენ
საღამოს ძილით იმ იმედით, რომ ოდესმე „მშვენი-
ერი პრინცი“ თავის ამბოროთ ნაბეჭდ წიგნათ აქ-
ცივს.

აუცილებელი მოთხოვნებიდან პირველ რიგში
სახელმძღვანელოების გამოცემა, ხოლო რაც შეეხე-
ბა სხვა მასალებს (არიები ქართულ ოპერებიდან,
ისტორია ტ სხვ) მათი დამზადება, შედარებით, შე-
იძლება ისეთივე აუცილებლად არ იქნეს მიჩნე-
ული როგორ უნდა განაღდეს დასახული მიზანი.

მართალია არსებობს საქართველოს სახელმწი-
ფო გამომცემლობა. მაგრამ მას იმდენი დავალებე-
ბი აქვს დაკისრებული, რომ სპეციალურად ამ სა-
ქმეს ვერ მიუძღვება. საქმითა კი ასეთი დაახლოვე-
ბა და საქმის სიყვარული.

შესაძლებელია, სახელმწიფომ გამოსცეს რა-
მოდენიმე ნაშრომი, მაგრამ ეს მხოლოდ წვეთი იქ-
ნება ზღვაში, იმ მოთხოვნისთვის შედარებით,
რომელიც ამ ეპოქაში არსებობს.

ასე რომ იმედი ისევ ქართველ ახალგაზრდა
მუსიკოსთა საზოგადოებაზეა რომელსაც უნდა მიე-
კუთვნოს ინიციატივა ამ საქმის მოსაგვარებლად.

ერთ-ერთი საშუალებათაგანია საპეტიციონერო
საზოგადოების შექმნა. რომელთა აქციონერებათ
პირველ რიგში, უნდა გახდეს კონსერვატორიები,
მუსიკალური ტენიკუმები, სკოლები თავის პირვე-
ლნი შემადგელობით. რა თქმა ეს მეტად მცირე
იმედია, მაგრამ საფუძვლის ჩაყრის შემდეგ მეტი
შესაძლებლობა იქნება ამ მუშაობით დაინტერესო
სხვა დაწესებულებანი.

რაც შეეხება დანარჩენ ზომათ: კონცერტ-
მოხსენებათა, ლიტერატურის, შეჯიბრებათა მოწყობასა
და სხვ. ამისათვის საჭიროა საორგანიზაციო სხდო-
მა, რომელიც სასურველად ჩამოაყალიბებს იმ შე-
საძლებლობას, რომელიც, უკეცაო, შედარებით წინ
წასწევს ქართულ მუსიკალურ გამომცემლობის საქ-
მეს.

შალიკო ლევიაშვილი.

ახალი „კრუჟოკი“. (ყოფილი ტფილისის კრუ-
ჟოკი) ქართულ წარმოდგენების საზაფხულო სეზო-
ნის გახსნა. შაბათს ახალი „კრუჟოკის“ საზაფხუ-
ლო თეატრში გაიხსნა ქართული წარმოდგენების
ციკლი—ქართული დრამის კოლექტივის მიერ, რომ-
ელსაც ხელმძღვანელობს მსახიობი ი. რომანიშვი-
ლი. კოლექტივში შედიან სახალხო სახლის მსახი-
ობთა საუკეთესო ძალები. ამ საღამოთი წარმოად-
გინეს ვ. გუნიას მხიარული ვოდველი: „რაც არ
მერგება არ შემერგება“, რომელიც მოწყობად იქ-
ნა შესრულებული.

შემდეგ იყო კონცერტი—დები თარხნიშვილე-
ბისა, რომელთაც ჩვეულებრივ კარგათ და გრძო-
ბით იმღერეს ქართული კილოები. აღსანიშნავია,
მათ მიერ შესრულებული „დაივიანეს“ და „ქონა“.
დასასრულს სცენაზე გაიმართა აზიური ცეკვა.
მოცეკვავე ალ. ალექსიძის ხელმძღვანელობით. უკ-
რავდა დუდუკი. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნე-
ბი იყო. ამის შემდეგ ეს კოლექტივი მუდამ შაბა-
თობით ამ კლუბში გამართავს წარმოდგენებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ახლად გახსნილი
კლუბი, რომელიც გადაეცა ომში დასახიერებულთა
კომიტეტს, მეტად კარგად და ლამაზად არის მოვ-
ლილ-მოწყობილი არის უფასო კინო, ლოტო, 1 ხა-
რისხის ბუფეტი, ორი ორკესტრი.

გ. ზ.

წარიღავი ჩალაქიის მივართ

აიხ. რედაქტორო! იმედია თქვენს გაზ. ტრი-
ბუნაში“ დამიბეჭდავთ შემდეგ განცხადებას:
გმუშაობდი საქ. სოც.-ფედ. პარტიაში 1916
წლიდან. პარტიის ორად გაყოფის შემდეგ თავს
ვთვლიდი უპარტიოდ. ვაღივნი რა თვალყური მე-
მარცხენე სოც. ფედ. პარტიის მუშაობას და გავე-
ცანი რა მის პოლიტიკურ გეზს, დავრწმუნდი, რომ
იგი პარტია არის ერთად ერთი პარტია საქართვე-
ლოში, რომელიც იცავს ქართველი მშრომელი მა-
სის როგორც კლასიურს, ისე ეროვნულ ინტერე-
სებს. ამიტომ საბოლოოდ გადავწყვიტე ვიყო საქ.
მემარცხენე სოც. ფედ. პარტიის წევრი.

სამტრედიის სადგურის ტელეგრაფისტი
გრაგოლ კოპაძე.

აიხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცე-
მულ გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ
შემდეგს:

გმუშაობდი საქ. სოც.-ფედ. პარტიაში 1918
წლიდან. საქართველოს გასაძლიერებლად და პარტიის
ორ ფრთად გაყოფის შემდეგ არ მიმუშავებია არც
ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში. დავრწმუნდი
რა იმაში, რომ მემარცხენე სოც. ფედ. პარტიის
მიერ აღებული გეზი სწორადია მიმართული სოცია-
ლისტური და ეროვნული მიზნების განხორციელე-
ბისაკენ, გადავწყვიტე მივიღო აქტიური მონაწი-
ლეობა ამ პარტიასთან, ერთად საერთაშორისო
პროლეტარულ რევოლუციის გამარჯვებისათვის
ბრძოლაში. ამიტომ მთელის ჩემი შეგნებით და
ღრმა რწმენით ვუერთდები საქ. მემარცხენე სოც.-
ფედ. მუკრევებს.

სამტრედიის სადგურის ტელეგრაფისტი სტა-
ნისლავ ვოიტკევიჩი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

შოვის კურორტი
ინსტრუქცია

შოვის კურორტის და სანატორიუმის მოწყობისათვის საქართველოს
ტერიტორიაზე

მოთავსებულ საეპრო-სამრეწველო დაწესებულების ერთი დღის მთელი ნავაჭრი თანხიდან
10 პროც. იანი გადაიხდის აკრეფისათვის.

1. აღნიშნულ თანხის აკრეფის ჩასატარებლად ყველა საქართველოს რაიონის საგადა-
სახადო განყოფილებაში მოწყობილი იქნეს სამეულები (ტროიკები) შემდეგი შემადგენ-
ლობით:

ა) თავმჯდომარენი ქ. ქ. თბილისში და ბათუმში შოვის სანატორიუმის და კურორ-
ტის მომწყობ კომისიის წარმომადგენელი, წევრნი: ფინანსპეტრორი და რაიონის მილი-
ციის უფროსი.

ბ) დანარჩენ ადგილებში: თავმჯდომარენი სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი:
წევრნი: ფინანსპეტრორი, პარტკომის მდივანი და დამხმარე სამაზრო პროფ. ბიუროს
მდივანი.

შენიშვნა: მაზრებში, სადაც არსებობს რამოდენიმე რაიონის საგადასახადო განყო-
ფილება, უნდა დაარსდეს ერთი სამეული, რომელშიაც წევრად შედის ყველა ფინანსპეტ-
რორები თავ თავიანთ რაიონების ფარგლებში.

2. აღნიშნულ სამეულების განკარგულებაში მივლინებულ იქნეს საქმით რიცხვი პარ-
ტიულ და პროფესიონალურ თანამშრომლებსა და აღმასკომთა ფულის ამკრეფი აგენტები,
რომელთა მოვალეობას შეადგენენ საეპრო-სამრეწველოთა მეპატრონეების ხელმძღვანე-
ლობა აღნიშნული გადარიცხვის წესრიგის შესახებ, და გადარიცხულ თანხის აკრეფა.

3. სიები, საეპრო-სამრეწველოს დაწესებულებათა მიერ ერთი დღის განმავლობაში
მიღებულ თანხისა, შედგენილ იქნეს რაიონის საგადასახადო განყოფილებათა თანამშრომ-
ლების მიერ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მოიპოვება განყოფილებებში გადამხდელთა
ბრუნვის შესახებ დამატებითი სარეწავი გადსახადით დაბეგვრისათვის 1923 წლის 1 ნა-
ხევარში (იანვარი—ივნისი).

4. გადარიცხული თანხის აკრეფა უნდა მოხდეს მხოლოდ მივლინებულ თანამშრომელ-
თა მიერ, რომელთაც ექნებათ საგანგებო კომისიის მანდატი და საკვიტაციო წიგნაკები,
შემოწმებულია ა. ქ. ფინსაკომის საქართველოში რწმუნებულის ბეჭდით.

5. აკრეფილი თანხა უნდა იქნეს შეტანილი ადგილობრივ ხაზინებში შოვის კურორ-
ტის და სანატორიუმის მომწყობ საგანგებო კომისიის დეპოზიტში. შემდეგი რეგულია წიგ-
ნაკების, სწორი ცნობების ჩაწერის და ფულის აკრეფის მხრივ ეკუთვნის სამეულებს, მოწ-
ყობილს ამ ინსტრუქციის 1 მუხლის თანახმად.

შოვის კურორტის და სანატორიუმის მომწყობი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე
შამშე ლეჟავა.

ა. ქ. ფინსაკომის რწმუნებული საქართ. ბ. ბიბინიშვილი.
№ 381.

(1—1)

გაქმნაშიაში კურს დამთავრებული გერმანელი
ქალი ემებს გაგეითილს ოჯახში

ბ ბ ბ რ ბ კ ზ ე ღ .

მ ი ს ა მ ა რ თ ი : მიხეილის შესახვევი 10, ბინა 3.

№ 433.

2—2

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მომოსვლის ნუ' ხა
სტვილისიდან ბაქოს

მატ. № 1	სწრაფი მოსკოვში შაბათობით	1600
მატ. № 1	სწრაფი პეტროგრ. პარასკეობ.	
მატ. № 1	სამშაბათ.	
მატ. № 2	ბათუმში სამშაბათ.	16.40
მატ. № 3	როსტოვში ყოველდღე	23.35
მატ. № 3	კახეთში	7.15
მატ. № 4	ბათუმში	8.05
მატ. № 8	ბათუმში	20.40
მატ. № 20	ბორჯომში	15.20
მატ. № 21	ბაქოში	11.25
მატ. № 22	ბათუმში	0.20
მატ. № 3	ერევანში კენტი რიცხვში	18.00
მატ. № 35	კახეთში	10.35
მატ. № 31	ჯულფაში წყვილ რიცხვში	23.00

მატ. № 1	ბათუმიდან შაბათობით	14.40
მატ. № 2	მოსკოვიდან სამშაბათ.	
მატ. № 2	მეტროპოლიდან ოთხშაბათ.	15.30
მატ. № 2	პეტროპოლიდან პარასკეობ.	
მატ. № 3	ბათუმიდან ყოველდღე	22.15
მატ. № 4	როსტოვიდან	6.35
მატ. № 4	კახეთიდან	21.50
მატ. № 7	ბათუმიდან	8.50
მატ. № 19	ბორჯომიდან	8.00
მატ. № 21	ბათუმიდან	4.20
მატ. № 22	ბაქოდან	14.50
მატ. № 4	ერევნიდან წყვილ რიცხვში	10.20
მატ. № 3	კახეთიდან	18.45
მატ. № 34	ჯულფიდან კენტ რიცხვში	18.15

ს ა ა გ ა რ ა კ ო

მატ. № 18	ბორჯომში კვირაობით	7.10
მატ. № 16	ხაშურში შაბათობით და უქმის წინაღლით	1.55

მატ. № 17	ბორჯომიდან კვირაობით	11.20
მატ. № 15	ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინაღლით	5.10

აბ.-კავკ. ფინანსთ. სახელსო კო-
მისიის რწმუნებული
საქართველოში

ამით აცხადებს ეგელა მოქალაქეთა საურად-
ლებით შემდეგ:

1) ა. ქ. ფინსაკომის დადგენილებით დაწესებულია შემდეგი ვადები 1923 წლის 1
ნახევრის (იანვარი—ივნისი) დამატებითი სარეწავი გადსახადისათვის:

ა) გადამხდელთაგან საპასუხოების შეტანა უსამართლოდ დაბეგვრისათვის რაიონულ
საგადასახადო კომისიებში უნდა დამთავრდეს ქ. ტფილისში და ტფილისის მაზრაში 1 აგ-
ვისტოსათვის, დანარჩენ ადგილებში და აგრეთვე აჭარისტანის, სამხრეთ ოსეთის და აფ-
ხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში—15 ივლისისათვის.

ბ) აღრიცხული გადსახადის ხაზინებში შეტანისათვის უქანასკნელ ვადათ დაწესე-
ბულია ქ. ტფილისის და ტფილისის მაზრისათვის 15 აგვისტო; დანარჩენ ადგილებისათვის
—30 ივლისი.

დამატებითი სარეწავი გადსახადის“ გადამხდელთ ელწევათ, რომ თუ ისინი
თავის დროზე ვერ მიიღებენ ხარჯის ფურცლებს, ვალდებული არიან გამოარკვიონ
თავიანტი დაბეგვრის საქმე სათანადო ფინანსპეტრორთან საეპრო-საწარმოოთა ადგილ-
მდებარეობის მიხედვით.

2) თანახმად ა) ქ. ცაქის და სახალხო კომისარათა საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 5
აპრილს დამტკიცებულ წესდების მე-6-ე მუხლისა, ა. ქ. ფინსაკომის რწმუნებულმა საქარ-
თველოში დააწესა თავის დროზე შეუტანელ გადსახადზე შემდეგი სახის საურავი, რაიონე-
ბის მიხედვით:

1 რაიონი—თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი—25 პროც. შეუტანელი თან-
ხისა.

2 რაიონი—გორის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს. ქუთაისის და შორაპნის მაზრე-
ბი—20 პროც.

3 რაიონში შედიან დანარჩენი მაზრები და აგრეთვე სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებთათვის საურავის რაოდენობა განსაზღვრულია 15
პროცენტით მთელი შეუტანელი თანხისა.

ეს საურავი დაწესებულია 1923 საგადასახადო წლისათვის გაწერილ სახელმწიფო გადა-
სახადის დანარჩენებზე და გადახდება გადამხდელთ ყოველი 15 დღისათვის; არა სრული 15
დღე ჩაითვლება 15 დღეთ.

ა. ქ. ფინსაკომის რწმუნებული საქართ. ბიბინიშვილი.

გადსახადთა განყოფ. მართვლის მოადგილე ბეზირგანიშვილი.

1—1